

გასაუბრებისას დოქტორანტი წარმოადგენს პრეზენტაციას სადოქტორო საკვლევო პროექტის შესახებ. შეფასდება სადოქტორო პროგრამის კანდიდატის უნარი უპასუხოს კომისიის წევრების კითხვებს კომპეტენტურად, არგუმენტირებულად და თანმიმდევრულად.

გასაუბრების შეფასება მოხდება 100 ქულიანი სისტემით შემდეგი პრინციპით თუ რამდენად სრულყოფილად და ნათლადაა წარმოდგენილი შემდეგი კომპონენტები:

1. რამდენად აქტუალურია საკვლევო თემა/პრობლემა	0-10
2. რამდენად სწორად არის განსაზღვრული პრობლემა. რამდენად სწორად და სრულად არის განსაზღვრული პრობლემის კომპლექსურობა	0-10
3. რამდენად სწორად არის განსაზღვრული პროექტის მიზანი და ამოცანები. რამდენად შეესაბამება მიზანი და ამოცანები პრობლემის კომპლექსურობას	0-10
4. რამდენად სწორად არის შერჩეული საკვლევო ჯგუფი და შერჩევის პროცედურა (sampling)	0 - 10
5. რამდენად სწორად არის ჩამოყალიბებული საკვლევო ჰიპოთეზა	0-10
6. რამდენად სწორად არის შერჩეული ბიბლიოგრაფია (წყაროების სანდოობა და შესაბამისობა პრობლემასთან). რამდენად ადეკვატურად არის მოცემული პრობლემის შესწავლის მეთოდოლოგია შერჩეულ ბიბლიოგრაფიაში. რამდენად სწორად არის აგებული ლიტერატურის მიმოხილვის რუკა	0-10
7. რამდენად სწორად არის შერჩეული მეთოდოლოგია ჰიპოთეზის შემოწმების საშუალებას. რამდენად არის განსაზღვრული და სრულად აღწერილი მეთოდოლოგია. რამდენად იძლევა მეთოდოლოგია პრობლემის კომპლექსურად შესწავლის შესაძლებლობას	0-10
8. რამდენად სწორადაა დადგენილი კვლევის ცვლადებს შორის კაზუალურობა (მიზეზ- შედეგობრივი კავშირი)	0-10
9. რამდენად ეფექტურად არის წარმართული დისკუსია	0-10
10. რამდენად ლოგიკურია კვლევის მოსალოდნელი შედეგები და მათი გავლენა კვლევის სფეროზე	0-10